

# დავალების მიცემის სიხშირე და წერილობითი კომენტარის როლი მათემატიკის სწავლებისას

კვლევის ანგარიში

ლია გაბინაშვილი

სსიპ - ცოტნე დადიანის სახელობის ქალაქ თბილისის N113 საჯარო სკოლის  
მათემატიკის უფროსი მასწავლებელი

2019 წელი

## სარჩევი

1. შესავალი ----- გვ. 3-5
2. ლიტერატურის მიმოხილვა ----- გვ. 6-10
3. კვლევის დიზაინი ----- გვ. 10-14
4. ინტერვენციები/ შეფასება/  
რეკომენდაციები ----- გვ. 14-15
5. დასკვნა ----- გვ:15
6. რეფლექსია/კოლეგებთან გაზიარება ----- გვ.16 -17
7. ბიბლიოგრაფია ----- გვ: 17 -21
8. დანართი ----- გვ: 21-27

მასწავლებელმა სასაწავლო პროცესი უნდა დაგეგმოს მოსწავლეთა სწავლის და სწავლების საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილის მიმდინარეობის დროს მასწავლებელს საჭიროების შემთხვევაში უნდა შეეძლოს გეგმის მოდიფიცირება.

- რა როლი აკისრია საშინაო დავალებას სწავლების პროცესში?
- საჭიროა თუ არა ყოველდღიურად საშინაო დავალების მიცემა?
- საჭიროა თუ არა დავალებაზე წერილობითი კომენტარი მივცეთ მოსწავლეებს?

ვარ მათემატიკის მასწავლებელი. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ვთვლი, რომ საშინაო დავალება უნდა იყოს სახალისო, ბავშვის ინტერესზე მორგებული და მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებული. დავალების მეშვეობით ისინი განიმტკიცებენ გაკვეთილზე შეძენილ ცოდნას, შეეჩვევიან დამოუკიდებლად მუშაობას, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და უკუკავშირის მეშვეობით შეეძლებენ ხარვეზების დამლევას. აუცილებელია ყოველდღიური უკუკავშირი, გასწორებული დავალება ამაღლებს მოტივაციასა და ეფექტიანობას.

ჩემი აზრით ნებისმიერი საგნის კარგად შესწავლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია საშინაო დავალება. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათემატიკის სწავლებაში. სწავლა-სწავლების უმთავრესი მიზანი, ახალი უნარისა და ცოდნის ათვისება, რამდენიმე ეტაპად იყოფა:

- ძირითადი კონცეპტების შესწავლა;
- საჭირო უნარ-ჩვევების მოდელირება;
- პრაქტიკა მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით;
- პროექტზე/სავარჯიშოზე დამოუკიდებლად მუშაობა.

კონკრეტული უნარის ათვისების პროცესი ყოველთვის გულისხმობს გააზრებას (ანუ ათვისებული მასალისთვის გარკვეული ფორმის მიცემას), რადგან ამ დროს მოსწავლე კონცეპტულურად გაიაზრებს ახალ უნარს, რომლის გარეშეც იგი სწორად და ეფექტურად ვერ გამოიყენებს ნასწავლს. მოსწავლეს უნდა ესმოდეს იმ უნარ-ჩვევის არსი, რომელსაც ეუფლება. ამისთვის მას კონკრეტული სავარჯიშოების შესრულებაც დასჭირდება. ამიტომ არის, რომ უნარ-ჩვევის განვითარება, როგორც წესი, გარკვეული ხნის განმავლობაში მიმდინარე მიზანმიმართულ პრაქტიკასაც უკავშირდება. ამ დროს სავარჯიშოების/დავალებების მეშვეობით პრაქტიკულად ხდება იმ უნარების განმტკიცება, რომელთა საჭიროებაც გამოიკვეთა გაკვეთილზე. პრაქტიკის დროს მოსწავლეები ათვისებულ მასალას უკეთ გაიაზრებენ და თავიანთი სწავლის საჭიროებებსაც მობარგებენ.

მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა უპირველესად საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. იგი აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს და აიძულებს მოსწავლეს, დამოუკიდებლად (არასაგაკვეთილო პროცესში) არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე, რაც უნდა კარგად ჩატარდეს იგი, ხდება მასალის ხანმოკლე დამახსოვრება. ხანგრძლივ მენსიერებაში ცოდნის გადატანას განმეორება ანუ გარკვეული სახის სამუშაო სჭირდება, ამ როლს კი მეტწილად საშინაო დავალება ასრულებს. ვინაიდან გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 8-10 საათის განმავლობაში ინტენსიურად “გვავიწყდება”, სასურველია, ნასწავლის განმტკიცება მოხდეს საშინაო დავალების იმავე დღესვე შესრულებით.

საშინაო დავალების სწორი ორგანიზებისთვის საჭიროა, მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული დავალების მიზანი (დავალების მიზნის განსაზღვრა, შინაარსის შერჩევა მიზნის შესაბამისად ანუ ორგანიზების ფორმის შერჩევა), ფუნქციები, დავალების კონტროლის მექანიზმი (გააერთიანონ ყველა მათ ხელთ არსებული რესურსი მოცემული დავალების შესასრულებლად, განახორციელონ კონტროლი – გარკვეული საკორექციო სამუშაო მიზნის მისაღწევად და თვითკონტროლიც – კორექციისთვის), საშინაო დავალების ორგანიზაციის საშუალებები, პირობები და მოტივაცია (დავალების შესრულების აუცილებლობის გაცნობიერება-გაგება).

სასკოლო პრაქტიკაში ვიყენებთ საშინაო დავალების შემდეგ სახეებს: ინდივიდუალურს, ჯგუფურს, შემოქმედებითს, დიფერენცირებულს, საერთოს მთელი კლასისთვის, დავალებას წყვილისთვის.

საშინაო დავალების დადებითი შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი უფრო მეტი ინტერესითა და ყურადღებით იქნება განწყობილი. ამისთვის, უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ფაქტორები:

- გაკვეთილისა და საშინაო დავალების პროცესის სწორად აგება;
- გაკვეთილზე აუცილებლად უნდა მოვახერხოთ მოსწავლეთა უნარების შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი სახლში შეძლებს მიცემული დავალების შესრულებას;
- საშინაო დავალების მიღწევადობა და დოზირება;
- საშინაო დავალების დიფერენციაცია;
- საშინაო დავალების შინაარსში ევრისტიკის ჩართვა;
- დავალების მიცემის დრო (იგი ისე უნდა შეირჩეს: გაკვეთილის დასაწყისში, ბოლოს ან შუაში, – რომ ამან მოსწავლე მოამზადოს, განაწყოს ახალი მასალის მისაღებად, რის შედეგადაც დავალების შესასრულებლად გაწეული „მოსაწყენი“ და „იძულებითი“ შრომა შეიძლება სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობად იქცეს);
- დავალებამ საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეს, რამდენიმე გაკვეთილი ერთ სისტემაში მოაქციოს, ერთმანეთთან ჰარმონიულად დააკავშიროს;
- დავალების შესრულება ანუ ცოდნის შეძენა პიროვნული ხასიათის პროცესად უნდა იქცეს. ამით მოსწავლე შეეძლებს, ცოდნა გადააქციოს შემეცნების ინსტრუმენტად, რაც მასზე დადებით გავლენას მოახდენს..
- უნდა გავითვალისწინოთ მოზარდის უნარები და ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- შესრულებული სამუშაო მითითებულ დროში და სათანადოდ უნდა შეფასდეს (დაუშვებელია მიცემული დავალების ეპიზოდურად, დროის დაუცველად გასწორება. ეს ისეთივე უშედეგოს ხდის სასწავლო პროცესს, როგორსაც საშინაო დავალების მიუცემლობა);
- უნდა ვეცადოთ, საშინაო დავალებები იყოს მრავალფეროვანი, რითაც ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში სხვადასხვა პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას;
- არ არის აუცილებელი, საშინაო დავალება ყველა მოსწავლისთვის ცალცალკე შევადგინოთ;
- დავალებად მივცეთ მხოლოდ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულების მეთოდებსაც უკვე ფლობენ და გარკვეული დოზით დასჭირდებათ „გამომგონებლობა“;

- საშინაო დავალების შესასრულებლად მნიშვნელოვანია დაწვრილებითი ინსტრუქცია. ინსტრუქციაში აუცილებლად უნდა მივუთითოთ სამუშაოს თანამიმდევრობა (რით დაიწყოს, რაზე გადავიდეს, რით დაამთავროს როგორ იმუშაოს),

2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ყურადღებით ვაკვირდებოდი VI-VII კლასის მოსწავლეთა მზაობას გაკვეთილის პროცესში. საშინაო დავალების წარმოდგენის დროს, დიდად არ გამოხატავდნენ მზაობას, მაგრამ აქტიურად ერთვებოდნენ საკლასო მუშაობაში, ახალი მასალის ახსნისა და განმტკიცების პროცესში. საჭირო იყო მიმეღწია საშინაო დავალების მნიშვნელობის უფრო მეტად გაცნობიერებისათვის და ჩამეტარებინა შესრულების ხარისხზე გარკვეული მონიტორინგი. უნდა მეფიქრა - როგორ გამეუმჯობესებინა საშინაო დავალების შესრულების სიხშირე და ხარისხი.

ვფიქრობ მნიშვნელოვანია რა დონეზე აქცევენ ყურადღებას ამ ასაკის მოსწავლეებს მშობლები საშინაო დავალების შესრულებისას, პრაქტიკიდან გამომდინარე ბევრი მშობელი, დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო, ხშირად მხოლოდ სიტყვიერი მონიტორინგით იფარგლება შვილებთან და ასე აკონტროლებს საშინაო დავალების შესრულება/შეუსრულებლობას. დავალების შესრულებაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის სოციალური გარემოც, პირობები, რომელშიც უწევთ ყოფნა.

ამ ეტაპზე გადავწყვიტე, ყურადღება გამემახვილებინა უშუალოდ დავალების შესრულების ხარისხის ამალღების გზების ძიებაზე. ვაკვირვებოდი საკუთარ პრაქტიკას, ვცდილობდი, ამ საკითხებზე გამეზიარებინა სხვათა გამოცდილება და სპეციალური ლიტერატურის გაცნობა-განხილვით დავინტერესებულიყავი. მნიშვნელოვნად ჩავთვალე, მცოდნოდა სხვა ქვეყნების გამოცდილება საშინაო დავალების კომპონენტის შესახებ, რათა სწორად დამეგეგმა პრევენციული ღონისძიებები.

ძირითადი დასკვნები:

მეექვსე-მეშვიდე კლასში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (რომელიც მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს) შემიძლია დავასკვნა:

- ❖ მოსწავლეები არ უთმობენ სათანადო დროს საშინაო შესრულებას მათემატიკაში და დავალების შეუსრულებლობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ დროის დეფიციტს, გადატვირთულ სასკოლო პროგრამებს.
- ❖ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორთან ერთად დასახელებულია „სხვა ფაქტორები“ (მძიმე სოციალური პირობები, კომპიუტერის თამაში, მშობლებისადმი დახმარება, სხვა საგნებში შესასრულებელი დავალება).

დამაინტერესა, რა აზრის იყვნენ ამ საკითხზე ზოგადად პედაგოგები, მშობლები, მკვლევარები. ამისათვის გავეცანი სხავდასხვა სტატიას.

*ნინო მამუჩიშვილი*

საშინაო დავალებამ სწავლა რომ არ შეაძლოთ – რისი უნდა გვეშინოდეს მასწავლებლებს

მაია ფირჩხაძე

საშინაო დავალება და პრაქტიკა – სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდი.

თეონა ნეფარიძე „საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე“.

გავიგე, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საშინაო დავალება ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების სავალდებულო ნაწილია. მისი შესრულება მოსწავლეთა ყოველდღიური პასუხისმგებლობაა. ასევე, არიან ქვეყნები, სადაც საშინაო დავალება იკრძალება ან იზღუდება ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკით, ან რეგულირდება შიდა-სასკოლო პოლიტიკით. ზოგან თვლიან, რომ ის 6 საათი, რომელსაც ბავშვი სასწავლო პროცესისთვის ხარჯავს, სრულიად საკმარისი უნდა იყოს იმ დღისთვის და აღარ უნდა ხდებოდეს ბავშვის დატვირთვა სახლში საშინაო დავალებებით, რათა გაცილებით მეტი დრო დარჩეს სპორტისთვის, ხელოვნებისა თუ გართობისთვის.

მაგალითად, ჰოლანდიაში არ არსებობს საშინაო დავალება და მაინც, განათლება გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე სხვა ქვეყნებში. იქ თვლიან, რომ სასწავლო პროცესი იყოს სახალისო და არა - იძულებითი. ბავშვს ამა თუ იმ საგნის სწავლებისას გარკვეული სტიმული უნდა ჰქონდეს.

იაპონიაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალება ბავშვებს არ მიეცემათ და იგი მხოლოდ მაღალ კლასებშია აქტუალური, შესაბამისად მაღალ კლასებში საკმაოდ რთული და დიდი მოცულობის საშინაო დავალება ეძლევათ მოსწავლეებს, ამასთანავე მათ უწევთ გაკვეთილების შესწავლაც, რის გამოც მაღალი კლასის მოსწავლეებს მოიხსენიებენ, როგორც „ყველაზე დაკავებული ადამიანები ქვეყანაში“. აკადემიური სწავლება დღეში 6 საათს გრძელდება, საზაფხულო არდადეგები 6-კვირიანია, ხოლო ზამთრის არდადეგები – 2-კვირიანი. იაპონელ მოსწავლეებს დავალება ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი, არდადეგების პერიოდის ჩათვლით.

ფინეთში ბავშვის ემოციურ განვითარებას ძალიან დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით უდგებიან. ფინელები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ადამიანი შეცდომებზე სწავლობს, ან წარუმატებლობა ვინმეს აძლიერებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ფინეთის ყველაზე კარგი მოქალაქეები იქნებიან ბავშვები, რომლებიც მცირე ასაკიდან გრძნობენ საკუთარ მნიშვნელობას და უნიკალურობას. ამიტომ, ფინელი ბავშვები

ბედნიერად იზრდებიან და ვითარდებიან შეფასებების სისტემის გარეშე. მათ არ ყოფენ „კარგ“ და „უარეს“ კატეგორიებად, განსაკუთრებულებად და ნაკლებად გამორჩეულებად. ბავშვებს არცერთი კუთხით არ აფასებენ, ისინი უბრალოდ უყვართ და უბარიათ მათი წარმატებები. მეშვიდე კლასამდე მოსწავლეები არ აბარებენ გამოცდებს, არ აქვთ საშინაო დავალებები და შეფასების სისტემა.

ბრიტანეთში მშობლებმა ხმა აიმაღლეს საშინაო დავალების მიცემის წინააღმდეგ, რადგან იქ, სკოლებში მეცადინეობა მიმდინარეობს 16 საათამდე და მშობლები თვლიან, რომ მიცემული მასალის განმტკიცება უნდა ხდებოდეს სკოლაშივე. ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებული კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ.

ბევრ ქვეყანაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალებას არ აძლევენ. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უმცროსკლასელი მოსწავლეები დავალებისგან ვერ იღებენ სარგებელს (კუპერი, 2001). ამ გავრცელებული მიდგომისაგან განსხვავებით, გერმანიაში პირველივე დღიდან აქვთ ბავშვებს საშინაო დავალება შესასრულებელი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში რამდენიმე სკოლამ გერმანიაში საშინაო დავალება აკრძალა.

ა.შ.შ -ში საშინაო დავალება მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა სავალდებულო. მისი შემოღება ცივ ომს უკავშირდება. სკოლის მოსწავლეების მიმართ მოლოდინები გაიზარდა და ქვეყანამ მიზნად დაისახა რუსული სკოლების აკადემიური მიღწევებისთვის გადაეჭარბებინა. საშინაო დავალების სავალდებულო ხასიათი დღემდე შენარჩუნებულია. 2007 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ საშინაო დავალების მოცულობა იზრდება და ამჟამად მისი შესრულება, საშუალოდ, დღეში სამ საათზე მეტ დროს მოითხოვს.

ამერიკის საგანმანათლებლო ასოციაციის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე პირველ კლასში მეცადინეობას უნდა უთმობდეს 10 წუთს. II კლასში – 20 წთ; III-IV – 30 წთ; V-VI – 1 საათს; VII კლასში და ზემოთ- 2 საათი.

რუსეთის პედაგოგიური საზოგადოება ორადაა გაყოფილი. ერთნი, ამტკიცებენ, რომ საშინაო დავალების სისტემატიური მიცემა აუცილებელია, რადგან დამოუკიდებლად, გამეორების გარეშე ბავშვი ვერ გაითავისებს ახსნილ მასალას.

მეორენი ამტკიცებენ, რომ დავალება ბავშვისთვის სატანჯველია, ზედმეტი დატვირთვაა მშობლისთვისაც, რომელმაც, სამსახურიდან მოსულმა, დაღლილმა უნდა გააკონტროლოს შვილი. ბავშვმა უნდა დაისვენოს. ის დრო, რასაც ის სკოლაში ატარებს, საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ აითვისოს გადაცემული მასალა.

საფრანგეთში მთავრობის გადაწყვეტილებით გაუქმდა 4 დღიანი სასწავლო კვირა, გადავიდნენ 5 დღიან სასწავლო კვირაზე და მოსწავლეები საშინაო დავალებას სკოლაშივე, დამატებით გაკვეთილებზე ასრულებენ. ამის მთავარ მიზეზად სახელდება

ის, რომ ისინი განსხვავებულ საარსებო პირობებში ცხოვრობენ, ზოგს სახლ-კარიც კი არ გააჩნია.

მოსწავლის განვითარებისთვის, წინსვლისთვის უდიდესი წილი საგაკვეთილო პროცესს უკავია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია საშინაო დავალება, რადგან, მოსწავლე როცა დამოუკიდებლად, სახლში ასრულებს იმის მსგავს სამუშაოს, რაზედაც მუშაობდნენ სკოლაში, უმჯობესდება გაგების, დამახსოვრების, ზოგადად სწავლის ხარისხი.

საშინაო დავალების მიცემის სიხშირეზეც მოსწავლეებს და მშობლებს განსხვავებული აზრები აქვთ. მათი ნაწილი თვლის, რომ საშინაო დავალება ზედმეტი დატვირთვაა ბავშვისთვის. ართმევს ბევრ თავისუფალ დროს, რადგანაც დღევნდელი მოსწავლეების უმრავლესობა დაკავებულია სხვადასხვა წრეებზე სიარულით, სპორტის სხვადასხვა სახეობით, მათ აღარ რჩებათ თავისუფალი დრო გართობისთვის.

სამწუხაროდ, ჩემი მოსწავლეები, ზოგადად, მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი მოკლებულია მსგავს ფუფუნებას (იაროს მუსიკის, ცეკვის, ცურვის, ტანვარჯიშის თუ სხვა სექციებზე), მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობების გამო, ნაწილი თვლის, რომ საკმარისია საშინაო დავალება მიეცეს მოსწავლეს კვირაში ერთხელ.

მშობლისთვის საშინაო დავალება შეიძლება განვიხილოთ, როგორც შვილის აკადემიური პროგრესის მონიტორინგის, სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. საშინაო დავალება მშობელს ინფორმაციას აწვდის ბავშვის აკადემიური განვითარების, მის წინა, შემდგომი სირთულეების და მისი წარმატებების შესახებ თუ მასწავლებლის მიერ დავალება სწორდება ყოველდღიურად და აქვს შესაბამისი უკუკავშირი.

თუმცა საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი წინააღმდეგია, ჩემი აზრით, აუცილებელია ბავშვმა სახლში სისტემატიურად შეასრულოს გარკვეული სახის სამუშაო, განსაკუთრებით მათემატიკაში. ვთვლი, რომ საშინაო დავალება არის მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლინების ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს გაამყაროს მისი ცოდნა და მოახდინოს ამ ცოდნის ტრანსფერი.

მათემატიკა უხვად მოიცავს მსჯელობას, ცნებებისა და მათ შორის კავშირების შესახებ ინფორმაციებს. მათემატიკა არ და ვერ შეისწავლება ნაწილ-ნაწილ, თუ არ ისწავლი ერთს და ვერ გაიგებ შემდეგს. იგი საჭიროებს ნაცნობ იდეებთან მრავალჯერად დაბრუნებას, მათ განვრცობასა და მათში ჩაღრმავებას. სწორედ ამიტომ, საჭიროა მოსწავლემ სისტემატიურად განიმტკიცოს ცოდნა დამოუკიდებლად მუშაობით, ე.ი შეასრულოს საშინაო დავალება.

საშინაო დავალების შესრულებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასწავლებელმა ყოველდღიურად შეამოწმოს საშინაო დავალების შესრულების ხარისხი. სამწუხაროდ, მასწავლებელთა ნაწილი ყოველდღიურად ვერ, თუ არ ამოწმებს საშინაო დავალებას და შესაბამისად ვერ აწოდებს დროულ უკუკავშირს. სასკოლო პრაქტიკა იცნობს მოსწავლესა და მშობელს შორის, ან მასწავლებელსა და მშობელს შორის წარმოშობილ კონფლიქტებსაც დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

ვთვლი, რომ მასწავლებლის სათანადო მომზადებაზე, დროულ უკუკავშირზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საშინაო დავალების შედგენა არ უნდა იყოს სპონტანური, აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან, კლასის საჭიროებებიდან და დროულად იქნეს მიწოდებული უკუკავშირი.

განასხვავებენ აკადემიური და არაკადემიური ტიპის საშინაო დავალებებს. პირველ კატეგორიას განეკუთვნება: განმამტკიცებელი, მოსამზადებელი, სააზროვნო, ინტეგრირებული და შემოქმედებითი ტიპის საშინაო დავალებები. ხოლო არაკადემიური დავალებების კატეგორიაში ერთიანდება პიროვნული და სოციალური თვისებების და უნარ-ჩვევების განმავითარებელი.

მკვლევარების მოსაზრებით, ყველაზე ეფექტურია ისეთი განმამტკიცებელი დავალებები, რომლებიც ახალი მასალისა და მოსწავლის პირადი გამოცდილების დაკავშირებას უზრუნველყოფს.

განმამტკიცებელი დავალებები ახალი ცოდნის გამყარებას დაკონკრეტულ უნარ-ჩვევაში დახელოვნებას ემსახურება.

მოსამზადებელი საშინაო დავალებების მთავარი მიზანია: მოსწავლე შეამზადოს ახალი ცნებების და მასალის გასაცნობად, მოხდეს მისი მოტივირება.

საშინაო დავალება არა მარტო სასწავლო პროცესის კონტროლისთვის გამოდგება, არამედ საკუთარი თავის კონტროლისათვისაც.

სწავლისადმი ინტერესის დაკარგვას იწვევს მოსწავლეთა გადატვირთვა საშინაო დავალებით. ოხდეს თორემ ეს

მკვლევარების აზრით, საშინაო დავალების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე. კარგად არის ცნობილი, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

TIMSS-ის მიხედვით, მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებას დროის საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობენ. შეფასების სიხშირე და სწავლების ფორმატი სასკოლო პედაგოგიკის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს.

დამაინტერესა რამდენიმე მნიშვნელოვანმა მიმართულებამ:

- როგორ სწავლობს ბავშვი მათემატიკას?
- რა საჭიროებები და რა მიზნები ამოძრავებს მოსწავლეს მათემატიკის სწავლის პროცესში?
- როგორ გეგმავს მასწავლებელი საშინაო დავალებისთვის განსაზღვრულ აქტივობებს?
- უწევს თუ არა მონიტორინგს მოსწავლეთა მშობლები შვილებს საშინაო დავალების შესრულებისას?
- არის თუ არა წერილობითი კომენტარები მოსწავლისათვის, მისი მშობლისათვის მნიშვნელოვანი?

- როგორ უნდა დაეხმარონ ზრდასრულები მათემატიკის შესწავლაში ბავშვს მისი სპეციფიკური საგნობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებაში და მისი სპეციფიკური საგნობრივი მიზნების მიღწევაში?

რამაზ საყვარელიძე თავის სტატიაში- „ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები“- წერს „ხშირად მიაჩნიათ, რომ სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემაა, მაგრამ ავიწყდებათ, რომ იგი აუცილებლად გულისხმობს ცოდნის „აღებასაც“, ანუ რეალური სასწავლო პროცესი თავისთავად ინტერაქტიურია. ცოდნას კი არა, საგანს ვერ გადასცემ ადამიანს, თუ იმანაც არ იაქტიურა და არ გამოგართვა იგი (ხოლო, თუ ძალიან აქტიურია და უნდა შენი საგანი - შეიძლება წაგართვას კიდევ). ინტერაქტიური სწავლის მომხრეები საჭიროდ თვლიან ისეთი პირობების შექმნას, როცა მოსწავლეს სურს ცოდნის მიღება და აქვს შესაბამისი აქტივობის საშუალება.

ტრადიციულ გაკვეთილზე მას აკისრია პასიური მსმენელის როლი. არ ჩანს, ამ პროცესში იგი რამეს ითვისებს თუ არა. სწავლის მთელი სიმძიმე მოსწავლეს გადააქვს სახელმძღვანელოზე, როცა იგი ემზადება პასუხისთვის. ამ პირობებში გაკვეთილი უფუნქციო პროცედურაა. იგი ახსნა-განმარტების ფუნქციასაც კი არ ატარებს, რადგან ახსნა პრობლემას უნდა მოსდევდეს და არა უსწრებდეს წინ. ინტერაქტიური სწავლების მომხრეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ გაკვეთილი მასწავლებელმა იმ სიახლით უნდა დაიწყო, რაც მოსწავლისთვის გაუგებარია. „მოსწავლის პირისპირ დაყენების გზით იმ ფაქტებთან, მონაცემებთან, მოსაზრებებთან, თეორიებთან და ა.შ., რომელიც არ შეესაბამება მის ცოდნას, მასწავლებელი იწვევს კონფლიქტს მოსწავლის ცოდნაში. სწორედ ეს კონფლიქტია ახლის გაგების კარგი მოტივაცია და საუკეთესო საფუძველი. ასეთი გზით მიღებულ ცოდნას პიროვნული აღმოჩენის ან პიროვნული მიხვედრის მახასიათებლები გააჩნია და ამ გზით ზრდის შესწავლილი მასალის გაგებისა და სიმყარის დონეს. ამავე პროცესში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მოსწავლეთა ურთიერთაქტივობა - დაყოს კლასი ჯგუფებად და შეაჯიბროს ისინი სწორი გადაწყვეტილების აღმოჩენაში. ამ მეთოდით ბავშვებს დამატებით გაეზრდებათ მოტივაცია, გათანაბრდება მათი ცოდნის დონე, ისწავლიან სხვადასხვა მხრიდან საკითხის გააზრებას, აგრეთვე ერთმანეთთან თანამშრომლობას“.
- ნინო ლაბარტყავა თავის სტატიაში- „განმავითარებელი შეფასების საშუალებები“- წერს განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწოდებს მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში. აქედან გამომდინარე განმავითარებელი შეფასების მიზნებია:

  - სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება;
  - პროგრესის მონიტორინგი;
  - დამოუკიდებლობისა და
  - თანამშრომლობის ხელშეწყობა;
  - ცოდნის თვითშეფასება და
  - მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა.

ეროვნული სასწავლო გეგმის  
თანახმად, განმავითარებელი შეფასების  
საშუალებებია:

- სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი;
- თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა;
- კითხვარი.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, სიტუაციებზე კომენტარების პროცესია. იგი ხელს უწყობს სასწავლო მიზნების

მიღწევას. ის არის ერთერთი საშუალება, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ მიდის სწავლის

პროცესი, რა წარმატებები და სირთულეები ფიქსირდება. უკუკავშირი უნდა მიმდინარეობდეს კეთილგანწყობილ გარემოში და აძლევდეს მოსწავლეს გეზს,

თუ რა აქტივობა უნდა განხორციელდეს მიზნის მისაღწევად. მასწავლებელმა

უკუკავშირის დროს, პირველ რიგში უნდა აღნიშნოს, თუ რა აქვს მოსწავლეს კარგად შესრულებული, შეცდომების არსებობის შემთხვევაში უნდა მიაწოდოს მას კონკრეტული რეკომენდაციები, რა გზებით ნდა გაიუმჯობესოს შედეგი. უკუკავშირისას მოსწავლე საკუთარი მიღწევების გამო განიცდის კმაყოფილებას, აცნობიერებს არსებულ სისუსტეებს და რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები შეაქვს სწავლის პროცესში.“

**კონტაქტიანი აფირჩხაძე თავის სტატიაში-** „თამაშის გამოყენება ახალი მასალის ახსნის გაკვეთილზე“- წერს ცოდნის მიღების, განმტკიცებისა და სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხშირად იყენებენ დიდაქტიკურ თამაშებს, რომლებიც სწავლების აქტიურ მეთოდებს მიეკუთვნება. დიდაქტიკური თამაშების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, ლამაზად შენიღბოს სასწავლო ამოცანა, რათა მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას. თამაში შეიძლება იყოს სახალისო, სააზროვნო, ლოგიკური, განმავითარებელი, შემეცნებითი, სიმულაციური და ინტელექტუალური. თითოეული მათგანის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, რომელიც განსაზღვრავს დიდაქტიკურ თამაშში მოსწავლის ჩართვას. თუ დიდაქტიკური თამაშის მიმართ მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგად აუცილებლად დადებითი იქნება, ასეთი გაკვეთილები კი თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეს ნამდვილად სჭირდება, რადგან ისინი ეხმარება მოსწავლეს, ზღვა ინფორმაციიდან ამოარჩიოს საჭირო მასალა, თანაც ისე, რომ ეს პროცესი სასიამოვნო იყოს მისთვის და მიღებული ცოდნა კლასგარეშე სიტუაციაშიც გამოიყენოს.

დიდაქტიკური თამაშის ამ თვისებებზე ჯერ კიდევ ფ. ფრებელი (XIX ს-ის გერმანელი პედაგოგი, „საბავშო ბალის“ ცნების ავტორი) და მ. მონტესორი მიუთითებდნენ, როდესაც სწავლებისას თამაშის გამოყენებაზე მსჯელობდნენ. XXI საუკუნეში თამაშით სწავლისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა.

თამაშს ძირითადად იყენებენ შესწავლილი მასალის გამეორებისთვის, განზოგადებისა და დიდი მოცულობის სამუშაოს შეფასებისთვის, რაც არ არის შემთხვევითი, რადგან თამაშს საფუძველად გარკვეული ცოდნა უდევს, რომლის სისტემატიზაციაც (თუნდაც რომელიმე ნიშნის მიხედვით) ხდება თამაშის პროცესში. ასეთი თამაშის უამრავი ტიპი არსებობს და ფართოდაც გამოიყენება სასწავლო პროცესში, მაგრამ შედარებით ცოტაა ისეთი თამაში, რომელიც შეიძლება ახალი მასალის სწავლებისთვის გამოვიყენოთ. უფრო მეტიც—გაკვეთილზე ზოგჯერ თავად თამაშსაც ნაკლებად იყენებენ.

ნებისმიერი ბავშვი უფრო წარმატებულია, თუ მისი მშობლები აქტიურად არიან დაინტერესებული სწავლების მეთოდებით. მაგრამ დავეხმაროთ ბავშვებს საშინაო დავალების მომზადებაში - არ ნიშნავს მათთან ერთად მის გაკეთებას, ან სულაც მათ

გარეშე. საშინაო დავალების კეთებისას ბავშვები იძენენ ისეთ თვისებებს, რომლებიც მომავალში გამოადგებათ. ამიტომ, აუცილებელია, მათ ხელი შევეწყოთ ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

### კვლევის დიზაინი

(საკვლევი კითხვები, სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდები, მონაცემთა ანალიზი, ძირითადი მიგნებები, ინტერვენები)

მეექვსე-მეშვიდე კლასში სწავლობს 63 მოსწავლე, სწორედ ისინი გახდნენ ამ შემთხვევაში პრაქტიკის კვლევის პროცესში სამიზნე ჯგუფი თავის მშობლებთან ერთად. ჩვენი სკოლა, მცირეკონტიგენტანია. სასწავლო წლის დასაწყისშივე გამოიკვეთა ტენდენცია საშინაო დავალებების შესრულებისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულებებისა. ვაკვირდებოდი საშინაო დავალებისთვის გათვლილ სავარჯიშოებს და მათი შესრულების ხარისხს. შედეგების გასაუმჯობესებლად პრაქტიკის კვლევის ფარგლებში დავგეგმე მიზნობრივი ნაბიჯები. განვსაზღვრე კვლევის მიზანი: გამერკვია თუ როგორ გამეუმჯობესებინა საშინაო დავალების მომზადების ხარისხი მათემატიკაში.

გადავწყვიტე, შემომეტანა ორი რვეული. როცა კლასში ზოგადად გავარკვევდი, უმრავლესობას ჰქონდა დავალება და გაუგებარი საკითხი არ შეხვედრიათ, რვეულები მიქონდა შესამოწმებლად, დავალებას ასრულებდნენ მეორე რვეულში. თითქმის ყველას ვუწერდი გამნავითარებელ კომენტარს. შეფასებულ დავალებას უმეტესწილად ვუბრუნებდი გაკვეთილების ბოლოს. შემდეგ გაკვეთილზე ვარჩევით, თუ რა იყო ხარვეზი და დავალების შესამოწმებლად მიქონდა მეორე რვეული.

### კვლევის გეგმა:

უპირველესად განვსაზღვრე მიზნობრივი ჯგუფი :

- ❖ მეექვსე და მეშვიდე კლასების მოსწავლეები
- ❖ მოსწავლეთა მშობლები

შევარჩიე კვლევის ინსტრუმენტები:

- ✓ კითხვარები
- ✓ ფოკუს ჯგუფი
- ✓ დაკვირვება

განვსაზღვრე შესაბამისი მიზნობრივი, არჩევითპასუხიანი კითხვები, რადგან სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, არ გამოიყენებია ელექტრონული კითხვარი.

ერთი თვის მერე მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩავატარე ანონიმური ანკეტირება.

ძირითადი კითხვები:

მშობლებს:

- კვირაში რამდენჯერ უნდა მისცეს მასწავლებელმა დავალება მათემატიკაში?
- როდის წერენ საშინაო დავალებას?

- როგორი სტრატეგიები აქვთ დავალების შესარულებლად?
- საჭიროა თუ არა წერილობითი კომენტარი?
- ეხმარებათ თუ არა წერილობითი კომენტარი შვილის ცოდნის დონის განსაზღვრაში?
- საჭიროა, საშინაო დავალებისთვის მონაცვლეობით ქონდეთ ორი რვეული?

▪ მოსწავლეებს:

- კვირაში რამდენჯერ უნდა მოგცეთ მასწავლებელმა დავალება მათემატიკაში?
- აუცილებელია თუ არა წერილობითი კომენტარი და რისთვის?
- რამდენად მნიშვნელოვანია წერილობითი კომენტარი ?
- გეხმარებათ თუ არა წერილობითი კომენტარი თქვენი ცოდნის დონის განსაზღვრაში?
- საჭიროა, თუ არა გქონდეთ ორი ცალი საშინაო დავალების რვეული?

სრულად იხ. კითხვარი მოსწავლეთათვის:/იხ.დანართი1 და დანართი 3/

კითხვარი მშობელთათვის: /იხ. დანართი 2/

გამოვიყენე ასევე-ფოკუს ჯგუფი მოსწავლეთა, მშობლებთან და მათემატიკის მასწავლებლებთან. მსჯელობა/დიალოგი წარიმართა საინტერესო ფორმატში, რადგან მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა უკეთ გამოეფლინათ თავიანთი დამოკიდებულება საკითხისადმი. ყველა მონაწილეს მიეცა აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, მშობელთაგან ესწრებოდა 37 მშობელი, 23 მასწავლებელი.

ხელმისაწვდომი და საინტერესო მეთოდი აღმოჩნდა მოსწავლეებზე ინდივიდუალური დაკვირვება. ვაკვირდებოდი და ვინიშნავდი, თუ როგორ იქცეოდნენ მოსწავლეები საშინაო დავალების წარმოდგენისას, ითავისებდნენ თუ არა პასუხისმგებლობას, როცა არ ჰქონდათ დავალება შესრულებული და ზოგადად, როგორ რეაგირებენ ბავშვები ამგვარ საკითხებზე.

მონაცემთა ანალიზი


ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მშობელთა უმრავლესობა ვერ უწევს სისტემატიურ კონტროლს საშინაო დავალების შესრულებას. ისინი აღნიშნავენ, რომ დღის მანძილზე დატვირთული სამუშაო განრიგი, ყოველდღიური სამუშაო ხელს უშლით მათ სწავლის პროცესში ჩაერთონ. უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ ამ მხრივ სკოლას და მასწავლებელს, თვლიან, რომ ისინი უფრო კომპეტენტურები არიან აღნიშნულ საკითხში.

აღმოჩნდა, რომ საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმებს ძალზე ზერელედ ან საერთოდ არ იცნობდნენ მშობლები.


მასწავლებლებთან ფოკუსჯგუფის შეხვედრამ დაგვანახა, რომ საჭიროა საშინაო დავალების შეფასების რუბრიკებს ერთმანეთისადმი და მშობლებისადმი გაზიარება.

დაკვირვების დროს გამოიკვეთა, რომ მხოლოდ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს (16-17 მოსწავლეს) აქვს მაღალი პასუხისმგებლობა საშინაო დავალების შესრულების, 14-15 მოსწავლეს ხარისხის, 2-3 როგორც შესრულების, ისე ხარისხის მიმართ, ხოლო მოსწავლეთა უმეტესობა არ მიიჩნევს საშინაო დავალების შესრულების ხარისხზე ყურადღების გამახვილებას აუცილებლობად. მათთვის მთავარია შესრულებული დავალება და არა ხარისხი.


საინტერესოა გამოყენებული კითხვარების მონაცემთა გაანალიზება.




საშინაო დავალების მიცემის სიხშირე მათემატიკაში




წერილობითი კომენტარი საჭიროა



გებმარებათ წერილობითი კომენტარი ცოდნის დონის განსაზღვრაში?





### კითხვარების შედეგები

ორი რვეულის მონაცვლეობით ტარებას, იმას ,რომ საშინაო დავალება ეხმარება მოსწავლეს ცოდნის განმტკიცება-გაღრმავებაში ეთანხმება ყველა გამოკითხული მშობელი და მოსწავლე. (100%)

ანალოგიურად, წერილობითი კომენტარის საჭიროებას ეთანხმება 100%.

დავლების ყოველ გაკვეთილზე მიცემის მომხრეა 74%, მხოლოდ 26% თვლის, რომ დავალება უნდა მიეცეს მხოლოდ ახალი მასალის ახსნის დროს.

### შესაძლო ინტერვენციები

- მოსწავლეებზე დაკვირვება და საშინაო დავალების შესრულებისა და ხარისხის პროგრესის მონიტორინგი
- შესაძლო სირთულეების თავიდან არიდების მიზნით სოციალური ქსელის (მულტიმედიაური საშუალებების) გამოყენება მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის (ვისაც ხელი მიუწვდება)
- მოსწავლეთა შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე მორგებული საშინაო დავალებების მრავალფეროვნების განსაზღვრა და შესრულების ალტერნატიული გზების დასახვა ( წერილობით რვეულში, დამატებით სამუშაოს შესრულებაზე წახალისება, ელექტრონულად ან სხვ.)
- ყოველ საშინაო დავალებაზე წერილობითი კომენტარის მიცემა.

- ✓ ინტერვენციები
- ✓ კვლევის შედეგების გათვალისწინებით გადავწყვიტე:

გავაგრძელო საშინაო დავალების შესრულება ორი რვეულის მონაცვლეობით.

- უფრო სახალისო გავხადო დავალების შესრულება თანამედროვე ტექნოლოგიების მულტიმედიურ საშუალებების გამოყენებით და ყოველ შესრულებულ დავალებაზე წერილობითი განმავითარებელი კომენტარით. (თუმცა, ვხვდები, რომ ამის გაკეთება ძნელია მაშინ, როცა კლასი მრავალრიცხოვანია).

დასახული მიზნის მისაღწევად გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- დავალებისთვის ორი რვეულის ქონა გახდა აუცილებელი.
- დაიგეგმა და შეიქმნა სოციალურ ქსელში დახურული ჯგუფი. (თუმცა, ინტერნეტის არ ქონის გამო, ჯგუფთან წვდომა ყველას არა აქვს)
- საშინაო დავალების დაგეგმვისას მეტად გავითვალისწინე მოსწავლეთა ინტერესები, დავალების შესრულების ალტერნატიული გზები და დავალების შეფასების კრიტერიუმები გავუზიარე ყველა მშობელს.
- მოსწავლეთა ინტერესებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, ვათანხმებდი მათთან დავალების ტიპებს და მოცულობას.
- მეტად ჩავრთე ისეთი დავალებები, რომლებიც ითვალისწინებდა კომპიუტერთან მუშაობას.

ინტერვენციის შეფასება:

- გამოკითხულთა ნაწილი (ვისაც ინტერნეტი აქვს) ეცნობა სიახლეებს დახურულ ჯგუფში.
- მოსწავლეებს ვურჩევ, რომ საშინაო დავალების შესრულებისას გამოიყენონ ტექსტის დამუშავების სხვადასხვა მეთოდი, რათა დავალება სრულყოფილად იყოს შესრულებული
- მე ვცდილობ, კარგად გავაანალიზო, რამდენად ხელმისაწვდომია დავალების შესასრულებლად საჭირო რესურსი მოსწავლეთათვის, წარმოვიდგინო მოსწავლის ადგილზე თავი, საინტერესო იქნებოდა თუ არა ეს კონკრეტული დავალება ჩემთვის.
- მე მოვინდომებდი თუ არა დამატებითი სამუშაოს შესრულებას.

დასკვნა:

თანამედროვე დავალებები ხელს უნდა უწყობდეს ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორცაა:

- ✦ კომუნიკაბელურობა,
- ✦ კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი;

- ✦ გუნდური მუშაობის უნარი;
- ✦ სისხარტე და ადაპტაციის უნარი;
- ✦ ინიციატივის გამოჩენის, ეფექტური წერისა და კომუნიკაციის უნარი;
- ✦ საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
- ✦ ცნობისმოყვარეობა და წარმოდგენის უნარი.

ამისთვის კი აუცილებელია მოსწავლეებს მივცეთ სახალისო, მათთვის ხელმისაწვდომი, მათ ინტერესზე მორგებული დავალებები, რომლებიც ყოველდღიურ რუტინას სასიამოვნო გართობად აქცევს.

მეექვსე-მეშვიდე კლასებში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (რომელიც მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს) შეგვიძლია დავასკვნათ:

- სამწუხაროდ, მოსწავლეები არ უთმობდნენ სათანადო დროს მათემატიკაში საშინაო დავალების შესრულებას
- დავალების შეუსრულებლობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებდნენ დროის დეფიციტს.
- მასწავლებელი მეტად თუ გაითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და დავალების შესრულების ალტერნატიულ გზებს, ორი დავალების რვეულის ქონას, ამით გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას
- საშინაო დავალების შემოწმება და წერილობითი უკუკავშირი კომენტარის სახით უნდა მოხდეს სისტემატიურად.

ვფიქრობ, საშინაო დავალების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო პოლიტიკის არსებობაც, რომელიც დაარეგულირებს საშინაო დავალების ტიპებს და მოცულობას, რადგან ცნობილია, რომ დიდი მოცულობის დავალება უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე, ინტერესსა და აკადემიურ მოსწრებაზე. რეკომენდებული მოცულობაა დღიურად არა უმეტეს ორი საათისა ყველა საგანში ერთად. სასურველია, სკოლებში არსებობდეს დამხმარე გაკვეთილები, სადაც საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, ინსტრუქტორის დახმარებით იმუშაონ დავალებების შესრულებაზე. აღსანიშნავია, რომ კლასგარეშე დამატებითი/დამხმარე გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა ქცევის, მოტივაციის და სამუშაო თვისებების გაუმჯობესებას.

რადგან, მუშაობა კვლავ მიწვევს მცირეკონტიგენტთან კლასებთან, გავაგრძელებ ჩემ მიერ არჩეული სტრატეგიების გამოყენებას, რათა ყველას დავანახო, რომ ეს გზაც მისაღებია.

კოლეგებისთვის გაზიარება:

პრაქტიკული კვლევის განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგების გაზიარება საინტერესო ეტაპი აღმოჩნდა როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი კოლეგებისთვის. სოციალური ქსელის facebook-ის დახურულ ჯგუფში: განვათავსე კვლევის ანგარიში.

კვლევის პრეზენტაციის დღედ განვსაზღვრეთ 2019 წლის 4 ივნისი (16სთ).

კოლეგებს გავაცანი კვლევის შედეგები და შეფასების მიზნით ვთხოვე უკუკავშირი.

გაიმართა დისკუსია. (მასწავლებელთა ნაწილი არ ეთანხმება ყოველდღიურად კომენტარის წერის პრაქტიკას). მივიღე საინტერესო რჩევები, რასაც გავითვალისწინებ მომავალ საქმიანობაში.

კოლეგებმა აღნიშნეს, რომ კვლევის შედეგები აშკარაა და სასურველია ამ მიმართულებით კვლავ გავაგრძელო მუშაობა.

გავითვალისწინებ მათ მოსაზრებებს, დავაკვირდები კლასს მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისიდანვე და შევეცდები ყველაფერი გავაკეთო მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებს გათვალისწინებით.

კვლევის ბიბლიოგრაფია ( გამოყენებული ლიტერატურა)

საშინაო დავალება და პრაქტიკა – სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდი

15 მარტი, 2013 მაია ფირჩხაძე

<http://mastsavlebeli.ge/?p=2409>

საშინაო დავალებამ სწავლა რომ არ შეაძულოს – რისი უნდა გვეშინოდეს მასწავლებლებს

27 იანვარი, 2018

*ნინო მამუჩიშვილი, საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი*

საშინაო დავალება ზავშეებისთვის საზიანოა! - გასაოცარი სიახლე, რომელიც მოსწავლეებს გაახარებს

2016, 21 მარტი, 11:52

<http://intermedia.ge/90/72553>

საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე

20 ივნისი, 2014 თეო ნეფარიძე

<http://mastsavlebeli.ge/?p=1986>

<https://edu.aris.ge/news/sashinao-davalebam-swavla-rom-ar-sheadzulot-risi-undagveshinodes-maswavleblebs.html>

Нужны ли школьникам домашние задания? - Комсомольская правда

<https://www.kp.ru/daily/25873/2837505/>

კითხვარი მოსწავლეთათვის სასწავლო წლის დასაწყისში

ეს მონაცემები კვლევისთვის მჭირდება. გთხოვთ, გულწრფელად და დაკვირვებით შეავსოთ.

მადლობას გიხდით წინასწარ :) შეგიძლიათ ერთ კითხვაზე რამდენიმე პასუხი აღნიშნოთ

1. კვირაში რამდენჯერ უნდა მოგვეთ მასწავლებელმა დავალება მათემატიკაში?

1. ყოველ გაკვეთილზე
2. ყოველ მეორე გაკვეთილზე
3. მხოლოდ ახალი თემის ახსნის შემდეგ
4. კვირაში ერთჯერ
5. საერთოდ არა

2. რატომ ვიჭრობთ ასე?

3. საშინაო დავალება ვწერ

1. ყოველთვის
2. როცა მცალია
3. ხანდახან
4. თუ არ დამეზარა

4. რაში ეხმარება მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულება?

1. ცოდნის განმტკიცებაში
2. ცოდნის გაღრმავებაში
3. მასწავლებელს რომ აჩვენოს, როგორ გაიგო ახსნილი
4. კლასელების თვალში პრესტიჟის ასამაღლებლად
5. არაფერში
6. ტყუილად დროის დაკარგვა

5. როგორ ასრულებთ დავალებას?

1. ჯერ წავიკითხავ გაკვეთილის ტექსტს, მერე ვიწყებ შესრულებას
2. პირდაპირ ვასრულებ
3. მეხმარება სხვა (დედა, მამა, და, მმა და ა.შ)
4. ვიწერ კლასელებისგან

5. საერთოდ არ ვწერ
6. *თუ დავალების შესრულებისას წავაწყდი სიძნელეს*
  1. ვცდი თავიდან
  2. ისევ წავიკითხავ ტექსტს
  3. ეგრევე სხვას ვთხოვ დახმარებას
  4. გადავდებ განზე იმ იმედით, რომ მასწავლებელი ამიხსნის
  5. გადავიწერ კლასელისგან
7. *საშინაო დავალებას ვასრულებ იმიტომ, რომ*
  1. ვიცი, საჭიროა
  2. ცოდნა განვიმტკიცო
  3. საჭიროა ქულის მისაღებად
  4. მასწავლებელმა არ მისაყვედუროს
  5. მშობელი არ გამიბრაზდეს
8. *მიხარია, როცა*
  1. ადვილად ვწერ დავალებას
  2. გამიმნელდა, მაგრამ მაინც დავწერე
  3. დავალებაში მივიღებ მაღალ ქულას
  4. მაქვს წერილობითი კომენტარი
9. *წერილობითი კომენტარი საჭიროა იმიტომ, რომ*
  1. გავიგო, რა მიჭირს
  2. გავიგო, რას ფიქრობს ჩემზე მასწავლებელი
  3. გავიგო, რაში უნდა ვიმეცადინო
  4. დავრწმუნდე, მასწავლებელი ნამდვილად აფასებს ჩემს შრომას
10. *წერილობითი კომენტარი აუცილებელია*
  1. ყოველ დავალებაზე
  2. თუ იქნება შესაქები
  3. მაშინ, როცა შეცდომები მაქვს
11. *რამდენად მნიშვნელოვანია წერილობითი კომენტარი*
  1. ძალზედ მნიშვნელოვანია
  2. მეტნაკლებად მნიშვნელოვანია
  3. უმნიშვნელოა
12. *გებმარებათ წერილობითი კომენტარი თქვენი ცოდნის დონის განსაზღვრაში?*
  1. დიახ
  2. მეტნაკლებად
  3. არა

13. მათემატიკის კარგად სწავლა საშინაო დავალების გარეშე

1. შეუძლებელია
2. შესაძლებელია

14. საშინაო დავალებისთვის მონაცვლოებით 2 რვეულის ქონა

1. საჭიროა, რადგან მასწავლებელს შეუძლია ყველა დავალება გულდასმით შეამოწმოს
2. ზედმეტია, ხშირად მავიწყდება მეორე რვეული

კითხვარი მშობელთათვის სასწავლო წლის დასაწყისში

ეს მონაცემები კვლევისთვის მჭირდება. გთხოვთ, გულწრფელად და დაკვირვებით შეავსოთ.

მადლობას გიხდით წინასწარ :) შეგიძლიათ ერთ კითხვაზე რამდენიმე პასუხი აღნიშნოთ

1. საშინაო დავალების შესრულებას თვალყურს ვადევნებ

1. ყოველთვის
2. ხანდახან
3. როცა მცალია
4. ვენდობი და არ ვამოწმებ

2. კვირაში რამდენჯერ უნდა მისცეს მასწავლებელმა დავალება მათემატიკაში?

1. ყოველ გაკვეთილზე
2. ყოველ მეორე გაკვეთილზე
3. მხოლოდ ახალი თემის ახსნის შემდეგ
4. კვირაში ერთჯერ
5. მასწავლებლის გადასაწყვეტია
6. საერთოდ არა

3. რატომ ფიქრობთ ასე?

4. საშინაო დავალება წერს

1. ყოველთვის
2. როცა ცალია
3. ხანდახან
4. თუ არ დაეზარა

5. რაში ეხმარება მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულება?
  1. ცოდნის განმტკიცებაში
  2. ცოდნის გაღრმავებაში
  3. მასწავლებელს რომ აჩვენოს, როგორ გაიგო ახსნილი
  4. კლასელების თვალში პრესტიჟის ასამაღლებლად
  5. არაფერში
  6. ტყუილად დროის დაკარგვა
  
6. როგორ ასრულებს დავალებას?
  1. ჯერ წაიკითხავს გაკვეთილის ტექსტს, მერე იწყებს შესრულებას
  2. პირდაპირ ასრულებს
  3. ეხმარება სხვა (დედა, მამა, და, ძმა და ა.შ)
  4. იწერს კლასელებისგან
  5. საერთოდ არ წერს
  
7. თუ დავალების შესრულებისას წააწყდა სიძნელეს
  1. ცდის თავიდან
  2. ისევ წაიკითხავს ტექსტს
  3. ეგრევე სხვას თხოვს დახმარებას
  4. გადადებს განზე იმ იმედით, რომ მასწავლებელი აუხსნის
  5. გადაიწერს კლასელისგან
  
8. საშინაო დავალებას ვასრულებინებ იმიტომ, რომ
  1. ვიცი, საჭიროა
  2. ცოდნა განიმტკიცოს
  3. საჭიროა ქულის მისაღებად
  4. მასწავლებელმა არ მისაყვედუროს
  
9. მიხარია, როცა
  1. ადვილად წერს დავალებას
  2. გამუძნელდა, მაგრამ მაინც დაწერა
  3. დავალებაში მიიღო მაღალი ქულა
  4. აქვს წერილობითი კომენტარი
  
10. წერილობითი კომენტარი საჭიროა იმიტომ, რომ
  1. გავიგო, რა უჭირს
  2. გავიგო, რას ფიქრობს მასზე მასწავლებელი
  3. გავიგო, რაში უნდა ვამეცადინო
  4. დავრწმუნდე, მასწავლებელი ნამდვილად აფასებს მის შრომას

11. წერილობითი კომენტარი აუცილებელია
  1. ყოველ დავალებაზე
  2. თუ იქნება შესაქები
  3. მაშინ, როცა შეცდომები აქვს
  
12. რამდენად მნიშვნელოვანია წერილობითი კომენტარი
  1. ძალზედ მნიშვნელოვანია
  2. მეტნაკლებად მნიშვნელოვანია
  3. უმნიშვნელოა
  
13. გეზმარებათ წერილობითი კომენტარი თქვენი შვილის ცოდნის დონის განსაზღვრაში?
  1. დიახ
  2. მეტნაკლებად
  3. არა
  
14. მათემატიკის კარგად სწავლა საშინაო დავალების გარეშე
  1. შეუძლებელია
  2. შესაძლებელია
15. საშინაო დავალებისთვის მონაცვლეობით ორი რვეულის ქონა
  1. საჭიროა, რადგან მასწავლებელს შეუძლია ყველა დავალება გულდასმით შეამოწმოს
  2. ზედმეტია, ხშირად მავიწყდება მეორე რვეული

კითხვარი მოსწავლეთათვის სასწავლო წლის ბოლოს

1. მინდა მათემატიკაში შესრულებულ დავალებას განმავითარებელი, წერილობითი კომენტარი ახლდეს
  - ა. ყოველთვის
  - ბ. ზოგჯერ
  - გ. არც ერთხელ
  
2. წერილობითი განმავითარებელი კომენტარი საჭიროა, რადგან:
  - ა. ვგებულობ, რაში ვუშვებ შეცდომას
  - ბ. ვხვდები, მასწავლებელი გულდასმით ამოწმებს ჩემს დავალებას
  - გ. ჩემთვის სტიმულია შემდეგი დავალების უკეთ შესასრულებლად
  
3. როცა განმავითარებელ კომენტარს ვკითხულობ
  - ა. ვხდები, რაში მჭირდება მეტი მეცადინეობა.
  - ბ. არ ვაცევ ყურადღებას

4. დავალებაზე გაკეთებული წერილობითი კომენტარი

ა. მაძლევდა სტიმულს უკეთ შემესრულებინა შემდეგი

ბ. ვხვდებოდი, რა უნდა მესწავლა უკეთ

გ. არაფერს არ ნიშნავდა ჩემთვის

5. ჩემი აზრით, მათემატიკას უკეთ ვისწავლი, თუ დავალებას მომცემენ

ა. ყოველ გაკვეთილზე

ბ. მხოლოდ ახალი მასალის ახსნის შემდეგ

გ. იშვიათად

დ. საერთოდ არა

6. განმავითარებელი კომენტარი ჩემს მშობელსაც

ა. აინტერესებს

ბ. ყურადღებას არ აქცევს

